ქართული LaTeX-ში

კილავაგორა

2 დეკემბერი, 2007 წელი

Abstract

როგორ გამოვიყენოთ ქართული ანბანი LaTeX-ში? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი, ალბათ, არ არსებობს. ეს სტატიაც მხოლოდ ზოგიერთ მეთოდს მიმოიხილავს. მაგრამ, ვფიქრობ, დაინტერესებული მკითხველისთვის აქ მოცემული ინფორმაცია სასარგებლო იქნება.

1 შესავალი

პირველი მეთოდი არის Johannes Heinecke-ს ცნობილი პაკეტების Mxedruli-სა და Xucuri-ს გამოყენება (*თუ ამ საკითხით ოდესმე მაინც ყოფილხართ დაინტერესებული, პირველი ალბათ ამას გადააწყდებოდით*). სამწუხაროდ, ამ პაკეტების ბოლო ვერსია 1998 წელს გამოვიდა და LaTeX-სა და ქართულის "ურთიერთობაც" ამ თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად წინ არ წაწეულა.